



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080125434438818

№ 1914

10 / აგვისტო / 2018 წ.

შპს „ავერსი-ფარმის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 1 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა შპს „ავერსი-ფარმის“ (ს/ნ: 211386695) 2018 წლის 1 აგვისტოს №146/7 მომართვა (რეგისტრაციის №6479), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2018 წლის 9 აგვისტოს მიმწოდებელმა წარმოადგინა 2018 წლის 9 აგვისტოს №152/12 დაბუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №6713), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2018 წლის 7 აგვისტოს № 2826 წერილით დადგენილი ხარვეზები.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაბუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „ავერსი-ფარმის“ (ს/ნ: 211386695) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2018 წლის 19 სექტემბერს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „ავერსი-ფარმის“ (ს/ნ: 211386695) 2018 წლის 20 სექტემბრიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე